



# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.932336024

თარიღი:26/12/2023

## **„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილისათვის თანამდებობრივი სარგოს დანიშვნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №გ-93.932133718 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

### **მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილისათვის თანამდებობრივი სარგოს დანიშვნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №გ-93.932133718 განკარგულებაში.

### **მუხლი 2**

შეიცვალოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

#### **„მუხლი 1**

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ფირუზი გელაშვილს დაენიშნოს თანამდებობრივი სარგო 2129 (ორი ათას ასოცდაცხრა)ლარის ოდენობით.“.

### **მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

### **მუხლი 4**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში,კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

